თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2015 წლის 3 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 143 722.2 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 278 766.2 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 289 318.4 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	116,981.2	289,318.4
ვალუტა და დეპოზიტები	36,599.2	208,570.9*
სესხები	15,092.0	19,153.7
აქციები და სხვა კაპიტალი	65,290.0	61,593.7

*ვალუტა და დეპოზიტებში 208 570.9 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 434 417.4 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2015 წლის 1 აპრილისათვის განისაზღვრა 642 988.3 ათასი ლარით (მათ შორის, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში ვადიან დეპოზიტებზე განთავსებული 99 996.0 ათასი ლარი).

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 10 552.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	8,400.0	10,552.2
სესხები	8,400.0	10,550.7
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	1.5

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 135 044.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 279 736.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- 198 577.0 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 81 159.0 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	310,217.0	279,736.0
საშინაო	200,000.0	198,577.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	200,000.0	198,577.0
საგარეო	110,217.0	81,159.0
სესხები	110,217.0	81,159.0

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**81,159.0**
IFAD	2,105.3
WB	15,471.7
EBRD	1,154.1
ADB	34,173.1
EIB	8,012.6
საფრანგეთი	5,366.5
იაპონია	10,996.0
გერმანია	3,879.6

2015 წლის 3 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 11 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 404 996.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 44.4% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 30.9% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 22.2% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.5% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა 394 835.3 ათასი ლარი, მათ შორის ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 288.8 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 204 200.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო

ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 196 258.4 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 7 941.6 ათასი ლარი. 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 198 577.0 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 99.3 %-ს შეადგენს.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2015 წლის I კვარტალში დაგეგმილი 100 000.0 ათასი ლარის ემისიიდან, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99 996.0 ათასი ლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

2015 წლის 3 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	**ფასიანი ქაღალდების ემისია (ნომინალური ღირებულებით)**		**ფასიანი ქაღალდების დაფარვა (ნომინალური ღირებულებით)**	**სხვაობა ფასიანი ქაღალდების ემისიას და დაფარვას შორის**	**ვალდებულებების წმინდა ზრდა**
	მთლიანად	*მ. შ. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის თვის*			
იანვარი	174,998.0	*49,998.0*	90,000.0	84,998.0	84,817.8
თებერვალი	149,998.0	*49,998.0*	59,200.0	90,798.0	91,304.6
მარტი	80,000.0		55,000.0	25,000.0	22,454.6
სულ	**404,996.0**	99,996.0	**204,200.0**	**200,796.0**	**198,577.0**

3. ვალდებულებების კლება 144 692.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	144,752.1	144,692.0
საშინაო	12,912.8	12,871.7
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	5,000.0	5,000.0
სესხები	1,186.0	1,185.8
სხვა კრედიტორული დავალიანებები	6,726.8	6,685.8
საგარეო	131,839.3	131,820.3
სესხები	130,920.9	130,920.9
სხვა კრედიტორული დავალიანებები	918.4	899.4

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 11 626.5 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 2 741.2 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 400.8 მლნ ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) - 167.0 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 400.8 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 100.2 მლნ ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ე.წ. „ისტორიული ვალი“) - 672.3 მლნ ლარი;

- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 8 884.3 მლნ ლარი*.

ათას ლარებში

კრედიტორი	**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით**
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	**8,884,339.1***
მთავრობის საგარეო ვალი	**8,811,206.2**
მრავალმხრივი კრედიტორები	**6,125,555.3**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,716,814.2
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,088,299.2
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	63,131.1
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	284,235.3
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	186,250.7
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,306,477.1
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	480,347.7
ორმხრივი კრედიტორები	**1,566,859.2**
ავსტრია	26,383.9
აზერბაიჯანი	24,984.7
თურქმენეთი	470.2
თურქეთი	47,774.2
ირანი	19,488.6
რუსეთი	204,729.0
სომხეთი	29,494.4
უზბეკეთი	599.9
უკრაინა	547.8
ყაზახეთი	61,866.6
ჩინეთი	8,612.4

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით
გერმანია	591,956.7
იაპონია	319,474.5
კუვეიტი	39,284.0
ნიდერლანდები	3,155.4
ამერიკა	64,460.4
საფრანგეთი	123,576.5
ფასიანი ქაღალდები	**1,113,750.0**
ევროობლიგაცია	1,113,750.0
გარანტირებული კრედიტები	**5,041.7**
გერმანია	5,041.7
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**73,133.0**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	73,133.0

შენიშვნა: *2014 წლის ბოლოს სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენდა 4 199 798.0 ათასს აშშ დოლარს, ხოლო 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეადგენს 3 988 480.0 ათასს აშშ დოლარს. აშშ დოლარში გამოსახული სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა შემცირებულია 2014 წლის ბოლოსთან შედარებით, თუმცა ლარში გაზრდილია 7 826 743.0 ათასიდან 8 884 339.0 ათასამდე, რაც განპირობებულია გაცვლითი კურსის ცვლილებით.*